

ციცინო გაბესკირია

უცხოური გვარების გადმოცემისათვის ქართულში (ახალი ქართულ-ინგლისური მათემატიკური ლექსიკონის დამატება)

ახალ ქართულ-ინგლისურ მათემატიკურ ლექსიკონში მოყვანილ უცხოელ მეცნიერთა გვარების საფუძველზე განვიხილავთ ქართულში შემოსულ უცხოურ გვარებს და იმ ტრანსფორმაციას, რომელიც მათ განიცადეს ქართულ ენაში დამკვიდრებამდე. უცხოური გვარ-სახელების გადმოტანისას უნდა გავითვალისწინოთ სამი ძირითადი ფაქტორი:

1. რომელი ენიდან არის შემოსული ესა თუ ის უცხოური გვარი – უშუალოდ მასესხებული თუ შუალედური ენის მეშვეობით;
2. რა გზით არის შემოსული (წერილობითი თუ ზეპირი);
3. არის თუ არა ეს გადმოტანა ტრადიციით განპირობებული.

ჩვენ მიერ შედგენილ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში გამოყენებული უცხოელ მათემატიკოსთა გვარები და მათთან დაკავშირებული მათემატიკური ტერმინები, რომლებიც ლექსიკონს დავურთეთ, ძირითადად, ევროპული (ფრანგული, ინგლისური, გერმანული) წარმოშობისაა და ქართულში მათი სათანადო ფორმით დამკვიდრებისათვის საჭიროა ზემომოყვანილი ვითარების გათვალისწინება. ქართულში უცხოური გვარის სწორად დასამკვიდრებლად საჭიროა დავადგინოთ: 1. გვარის წარმოშობა, 2. სესხების გზა, 3. ემორჩილება თუ არა ეს გადმოტანა საერთო წესს თუ გამონაკლისია ისტორიული ტრადიციის მიხედვით.

ჩვენი აზრით, ფრანგული გვარებისათვის საერთო წესი ბევრად უფრო დაცულია. ეს შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ შუალედური ენა რუსული იყო, ხოლო რუს მეცნიერთა უმრავლესობა თავისუფლად ფლობდა ფრანგულს, მათთვის ის მეორე ენა იყო. ფრანგული წარმოშობის გვარების გადმოტანისას უმრავლეს შემთხვევაში დაცულია ფრანგული ენის ორთოგრაფიული წესები. კერძოდ, სიტყვის ბოლოს თანხმოვნები **l, s, r, d, t, x** არ იკითხება (**r** სიტყვის ბოლოს ხან გამოითქმის, ხან არა), შესაბამისად, ქართულში (ისევე, როგორც რუსულში), სწორად არის გადმოცემული გვარები: **Argand** -**არგანი**; **Bachet** – **ბაშე**;

Bertrand – ბერტრანი; Bezout – ბეზუ; Binet – ბინე; Biot – ბიო; Bonnet – ბონე; Boutet – ბუტე; Brenier – ბრენიე; Carnot – კარნო; Choquet – შოკე; Ciarlet – სიარლე; Clairaut- კლერო; Condorcet – კონდორსე; Cosserat – კოსერა; Darboux – დარბუ; Desargues – დეზარგი; Dirichlet – დირიხლე; Du Bois-Reymond – დიუ ბუა-რეიმონი; Fermat – ფერმა; Frechet – ფრე-შე; Fourier – ფურიე; Galois – გალუა; Gâteaux – გატო; Giraud – ჟირო; Goursat – გურსა; Hadamard -ადამარი; Hénon- ენო; Herbrand – ერბრან-დი; Laurent – ლორანი; L'Huillier -ლუილიე; Lucet -ლიუსე; Mesnier – მენიე; Milloux – მილუ; Navier – ნავიე; Peclet – პეკლე; Picard – პიკარი; Pisier – პიზიე; Poincaré – პუანკარე; Poinso – პუანსო; Quetelet – კეტ-ლე; Rabier – რაბიე; Serret – სერე; Charliet – შარლიე.

ასევე ცნობილია, რომ ფრანგულში ასო **h** არ გამოითქმის. ქართულშიაც შესაბამისად გვაქვს: Bruhat – ბრიუა; Duhamel – დიუჰამელი; Hadamard – ადამარი; Herbrand – ერბრანი; Hermite – ერმიტი; Hénon – ენო; L'Hôpital – ლოპიტალი; Mahlo – მალო. ფრანგული ენის ორთოგრაფიული წესები დაცულია **gn** ბგერათშეთანხმების გადმოტანის დროსაც, როცა **g** არ იკითხება, და გვაქვს რბილი **n**. მაგ., Agnesi – ანიე-ზი; Deligne – დელინი. ასეთივე წესია დაცული იტალიური გვარების გადმოტანისას, მაგ., Signorini – სინიორინი.

ასო **s** ხშირად არ გამოითქმის, განსაკუთრებით **sn**, **sm** წყვილში. ამიტომ ქართულში სწორად გადმოდის გვარები: Fresnel – ფრენელი; Lebesgue – ლებეგი; Mesnier – მენიე; Oresme – ორემი, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არასწორ ფორმებსაც შეხვდებით, მაგალითად, ფრესნელს ფრენელის, ორესმს ორესმის ნაცვლად. ასევე მცდარად გადმოაქვთ ხოლმე (სავარაუდოდ, რუსულის ზეგავლენით) ასო **u** და ბგერათშეთანხმება **ou**. მაგ., წერენ ლუსეს ლიუსეს ნაცვლად (Lucet), მილიუს მილუს ნაცვლად (Milloux). არასწორია ასევე ფრანგული **th**-ს შესატყვისად **თ ტ**-ს ნაცვლად. მაგ., სწორია მათიე (Mathieu) და არა მათიე, ტომი (Thom) და არა თომი და ა.შ.

ხშირია უზუსტობა გერმანული **ei** დიფთონგის გადმოცემისას. ადრე წერდნენ ეი-ს აი-ს მაგივრად, რაც, ცხადია, არასწორი ფორმაა. გვქონდა: ეინშტეინი, ცვეიგი, შტეინერი, კლეინი და ა.შ. გერმანულ სიტყვათა შეთვისებისას – გერმანული **ei** ქართულში აი-თი უნდა გადმოიცემოდეს. შესაბამისად, უნდა გვქონდეს: Goldenweiser – გოლდენვაიზერი; Weierstrass – ვაიერშტრასი; Weil – ვაილი; Seifert – ზაიფერტი; Klein – კლაინი; Ornstein – ორნშტაინი; Pringsheim – პრინგსჰა-

იმი; **Schneider** – შნაიდერი; **Steiner** – შტაინერი; **Steinhaus**. – შტაინჰაუსი.

მაგრამ ეს წესი ყოველთვის არ მოქმედებს, კერძოდ, იგი არ ვრცელდება იმ სიტყვებზე, რომლებიც გერმანულიდან რუსული ენის გზით შემოვიდა. ასეთ შემთხვევებში ანგარიშს უწევდნენ რუსულ დაწერილობას და რუსული **э́ (e)** დიფთონგი ქართულში ეი-ს სახით გადმოიცემოდა. ასე დამკვიდრდა ქართულში გვარები: **ბრონშტეინი**, **ეიზენშტეინი**, **რუბინშტეინი** და სხვა. ამას შეიძლება ტრადიციაც დავარქვათ, რომელიც ისეა განმტკიცებული, რომ ძველის მაგივრად ახალი, თუნდაც მართებული, ფორმის შემოტანა არც ისე ადვილია. ჩვენს ლექსიკონში ასეთი გვარები ორი ფორმითაა მოცემული, მაგ., **Eilenberg** აილენბერგი და ეილენბერგი; **Seifert** ზაიფერტი და ზეიფერტი; **Weierstrass** – ვაიერშტრასი და ვეიერშტრასი და ა.შ. ასევე დიდი სიჭრელა ქართულში გერმანული **eu** დიფთონგის გადმოცემისას, აქაც დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად (რაც ძირითადად შუალედური რუსული ენის გავლენაა) გერმანული **eu** ქართულში **ოი**-ს მაგივრად ეი-თი გადმოიცემა: მაგ., ეილერი, ნეიმანი, ვეიერბახი, ფრეიდენტალი და სხვა. უნდა იყოს: **Euler** ოილერი და არა ეილერი, **Feuerbach** – ფოიერბახი და არა ვეიერბახი, **Freudenthal** – ფროიდენტალი და არა ფრეიდენტალი, **Neumann** – ნოიმანი და არა ნეიმანი. ჩვენს ლექსიკონში ეს გვარებიც ორი ფორმით გვაქვს წარმოდგენილი, ვინაიდან ძნელია ისეთი გავრცელებული გვარის ახალი, თუნდაც სწორი, ფორმით შეცვლა, როგორც არის, მაგალითად, ეილერი. ამიტომ ლექსიკონში ორი ვარიანტი მოგვყავს: ეილერი და ოილერი, თუმცა რიგითობის მიხედვით თავდაპირველად იმ ფორმას მივუთითებთ, რომელიც უფრო სწორად მიგვაჩნია, მაგ., ჯერ ვწერთ კლაინს და მერე კლეინს, ჯერ ვაიერშტრასს და მერე ვეიერშტრასს და ა.შ. ვფიქრობთ, რომ თანდათან ამ დიფთონგების გადმოღების საერთო წესი დაზუსტდება და, შესაბამისად, უცხოურ გვარებზეც გავრცელდება.

გერმანული **u** უნდა გადმოვიდეს, როგორც ე და არა უ ან იუ. მაგ., უნდა იყოს **Burger**– ბერგერი და არა ბურგერი ან ბიურგერი **Burkholder** – ბერკჰოლდერი და არა ბურკჰოლდერი .ასო **ü** უნდა შესაბამებოდეს ქართულ იუ-ს. უფრო მეტიც, აქ მიზანშეწონილად მივიჩნევდით დავიწყებული ქართული **ჲ**-ს გამოყენებას, რაც იქნებოდა გერმანული დიფთონგის ზუსტი შესატყვისი ქართულ ენაში. ე.ი. უნდა გვქონდეს **Küneth** – კიუნეთი; **Plücker** – პლიუკერი, **Flüge** – ფლი-უბი.

სადავო საკითხად რჩება გერმანულ **ö**-სა და **oe**-ს ქართულში გადმოტანა. 1989 წელს გამოცემულ უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში მოცემულია ევროპული ენებიდან ნასესხები საკუთარი სახელების მართლწერისათვის აუცილებელი წესები, რომელთა მიხედვითაც გერმანული **ö** და **oe** ქართულში უნდა გადმოდიოდეს, როგორც **ე** და არა **იო(ო)**. მაგალითებად მოყვანილია **Köln** – **კელნი** და **Roentgen** – **რენტგენი**. ეს, ჩვენი აზრით, მხოლოდ ადრე გამოყენებული არასწორად დამკვიდრებული ფორმებია (განსაკუთრებით **რენტგენის** შემთხვევაში) და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვა, განსაკუთრებით ახლად შემოტანილი, გვარებისათვის საერთო პრინციპი არ უნდა დავიცვათ. ვფიქრობთ, რომ **ö**-ს გადმოტანისას, ისევე, როგორც **oe** -ს შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ **იო (ო)** და არა **ე**. შესაბამისად მართებულად მიგვაჩნია **ö**-ს **იო(ი)**-თი გადმოტანა მათემატიკურ გვარებშიაც. **Föpple** – **ფიოპლი**; **Gödel** – **გიოდელი**; **Grötsch** – **გრიოტში**, **Grötdieck** – **გრიოტენდიკი**; **Hörmander** – **ჰიორმანდერი**; **Hölder** – **ჰიოლდერი**, **König** – **კიონიგი**; **Schrödinger** – **შრიოდინგერი**.

ინგლისური ენის შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის წესი, რომელიც ბერძნულ-ლათინური წარმომავლობის სიტყვებში **-th**, **-ch**, **-ph** ფონემების გადმოცემისას უნდა დავიცვათ. ეს ფონემები ქართულში **-თ**, **-ფ**, **-ქ** ბგერებით გადმოიცემა. ინგლისური წარმოშობის გვარების გადმოტანისას დაცულია არა მხოლოდ ეს წესი, არამედ **-c**, **-g** თანხმოვნების გადმოცემის ზოგადი ფონეტიკური წესი, კერძოდ, **c**, **e**, **i**, **y** ხმოვნების წინ იკითხება, როგორც **ს**, ხოლო სხვა შემთხვევებში, როგორც **კ**, ასევე **g** **e**-ს, **i**-სა და **y**-ს წინ იკითხება, როგორც **ჯ**, ხოლო სხვა შემთხვევებში, როგორც **გ**, თუმცა აქაც არსებობს გამონაკლისი და გვარი **Gilbert** იკითხება, როგორც **გილბერტი**. ყველაზე დიდი აღრევა გადმოტანისას ინგლისურ ასო **w**-სთან არის დაკავშირებული. ადრე რუსულის ზეგავლენით **w** თითქმის ყოველთვის **ვ**-თი გადმოდიოდა. ამიტომ გვქონდა: **William** – **ვილიამი**, **Wilson** – **ვილსონი**, **Wilder** – **ვაილდერი** და სხვა. ამჟამად თანდათანობით ეს ტენდენცია წესრიგდება და „**w**“ უკვე „**უი**“-თი გადმოდის და არა „**ვ**“-თი. შესაბამისად მათემატიკოსთა გვარებიც შემდეგნაირად უნდა გადმოვიტანოთ და უნდა ვწეროთ და წარმოვთქვათ: **Waring** – **უორინგი**; **Waterman** – **უოტერმენი**; **Watson** – **უოტსონი**; **Wilson** – **უილსონი**; **Wallman** – **უოლმენი**; **Walter** – **უოლტერი**; **Wallsh** – **უოლში**.

ინგლისურიდან გადმოტანილ გვარებშიც ხშირად ირღვევა ფონეტიკური შესაბამისობა, ესეც ალბათ დამკვიდრებულ ტრადიციას

უნდა მივაწეროთ და ვწერთ და ვკითხულობთ **ბროუნ**-ს **ბრაუნ**-ის მაგივრად (**Brown**), **იუნგ**-ს **იანგ**-ის (**Young**) მაგივრად, **სტოქს**-ს **სტოლქს**-ის მაგივრად (**Stokes**) და სხვ. ასევე არასწორად მიგვაჩნია რუსულის გავლენით ინგლისური გვარის **Love**-ს ქართულად **ლიავით** გადმოტანა, უნდა იყოს **ლავი**.

ერთადერთი ხშირად ხმარებული გვარი, რომელიც ირანული წარმოშობისაა (**Naghdi**) და რომელიც რუსულის ზეგავლენით ითარგმნება, როგორც **ნაგდი**, ჩვენი აზრით, ზუსტად შეესაბამება ქართულ **ნაღდი**-ს და გვარებშიაც ასე უნდა იყოს მითითებული.

საერთოდ გვარ-სახელების თუ ნასესხები სიტყვებისა და ტერმინების გადმოღებისას აუცილებლად მიგვაჩნია გავითვალისწინოთ, თუ რომელია ის გამსესხებელი ენა, საიდანაც გადმოვიღეთ ხსენებული სიტყვები. მაგალითად, ბგერათშეთანხმება **st** გერმანულში იკითხება, როგორც **შტ**, შესაბამისად გვაქვს **შტაინი** (**Stein**), **შტაინერი** (**Steiner**). ინგლისურში იგივე იკითხება, როგორც **სტ**, ამიტომ გვაქვს **სტაინი** (**Stein**). ერთი და იგივე ბგერები თუ ბგერათშეთანხმებები სხვადასხვანაირად იკითხება იმისდა მიხედვით, რომელ ენას განეკუთვნებიან. **ch** ინგლისურში გადმოიცემა ხან როგორც **ჩ**, ხან კი როგორც **ქ**. გერმანულში იგივე იკითხება, როგორც **კ**, მაგ., გერმანული გვარი **Christoffel** უნდა გადმოვიტანოთ, როგორც **კრისტოფელი**. ხშირ შემთხვევებში აუცილებელია გავითვალისწინოთ გვარის წარმომადგენლობა. ასე მაგალითად, გერმანელი მათემატიკოსის გვარი **Dirichlet** გადმოღის, როგორც **დირიხლე**. ადრე ეს გვარი მისი ფრანგული წარმომავლობის გამო იკითხებოდა, როგორც **დირიშლე**. მეცნიერის წინაპრები გერმანიაში ბელგიური ქალაქ **რიშლედან** (**Richelet**) წამოსულან, ბაბუამისს უწოდებდნენ **Le jeune de Richelet** – **ახალგაზრდას რიშლედან**. შემდგომში კი იმის გამო, რომ მას გერმანელ მეცნიერად მიიჩნევდნენ, ხოლო გერმანულში **ch** იკითხება, როგორც **ხ**, ორი პარალელური ფორმა დარჩა: **დირიხლე** და **დირიშლე**.

დასასრულ, მიგვაჩნია, რომ გვარების სწორად გადმოტანა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ტერმინების, ვინაიდან მეცნიერთა გვარებთან ერთად ხშირად იხმარება მათ მიერ აღმოჩენილი თუ დამუშავებული თეორიები თუ თეორემები, რომლებიც ორგომპონენტია და მოითხოვს უცხოური გვარის ზედმიწევნით ზუსტად გადმოტანას ქართულ ენაში, იქნება ეს **ნიუტონის ბინომი** თუ **აბელის საშუალობი**, **ფურიეს მწკრივი** თუ **პასკალის ლოკოკინა**. ასევე ვფიქრობთ, რომ უცხოური გვარების, ისევე, როგორც ტერმინების გადმოტანა, მოწეს-

რიგება და უნიფიკაცია რთული და ხანგრძლივი პროცესია, რაც მათემატიკოსებისა და ლინგვისტების ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოგვარდეს.

ლიტერატურა

თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები. პირველი კრებული. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“, 1970.

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნი მერვე. თბილისი. „მეცნიერება“, 1988.

უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. ქსე მთავარი სამეცნიერო რედაქცია. თბილისი, 1989.

ც. გაბესკირია. ინგლისურ-ქართული მათემატიკური ლექსიკონი. თბილისი. თსუ გამომცემლობა. 1983.

A. J. Lohwater. Russian-English Dictionary of the Mathematical Sciences. American Mathematical Society, Providence, Rhode Island.

Tsitsino Gabeskiria

On the Transfer of Foreign Proper Names to Georgian (Addendum to the Upcoming Georgian-English Mathematical Dictionary)

Summary

The paper deals with the names of foreign scientists which are listed in the addendum to the upcoming Georgian-English dictionary of mathematical terms. These names mostly belong to the scientists who created or elaborated new theories or theorems. They are frequently used together, thus making a scientific term. Therefore it is very important to perform this transfer in a proper way. On the one hand it will help to regulate and unify these terms and on the other hand, it will facilitate their use to researchers, students of mathematics and translators of English.